საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2021 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №05-01/02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ოქტომბრის №04-01/02 დადგენილებისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის ნ. კვირკველიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/11 დადგენილებაში და დადგენილების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საშემსრულებლო მიმართულებით ხელმძღვანელის დატვირთვა შეადგენს:
- საბაკალავრო ნაშრომისათვის - 15 (თხუთმეტი) საათი1 (ერთ) სტუდენტზე;
- არქიტექტურის სპეციალობაზე - 20 (ოცი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე;
- სამსახიობო სპეციალობაზე - 100 საათი ჯგუფზე;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის - 40 (ორმოცი) საათი 1 (ერთ) სტუდენტზე.“

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**